

# თანამედროვე მეთოდების გამოყენება საზღვაო ინგლისური ენის სწავლებისას

*დუმბაძე სოფიკო – ასისტენტ-პროფესორი, უცხო ენათა დეპარტამენტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო  
აკადემია, ბათუმი, საქართველო*

*ფუტკარაძე ნინო – ასისტენტ-პროფესორი, უცხო ენათა დეპარტამენტი, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო  
აკადემია, ბათუმი, საქართველო*

## Using of Modern Methods in Marine English Language Teaching

*Dumbadze Sophiko – Assistant Professor, Department of Foreign Languages, Batumi State Maritime  
Academy, Batumi, Georgia*

*Putkaradze Nino – Assistant Professor, Department of Foreign Languages, Batumi State Maritime  
Academy, Batumi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** Teaching Marine English must not be focused only on linguistic knowledge, it must strengthen sailors' communication skills as well. The work provides conclusions made as a result of observation and comparison. It aims to emphasize the use of modern teaching approaches at English lessons in order to train seafarers not only from linguistic point of view, but also in different important issues. Role playing, simulations, group and peer work may play an important role in teaching process as integrated learning using various activities can lead a sailor to excellent results, a teacher should play as a role of a facilitator, as well as a role of a viewer and even a participant.

**Research methodology:** Observation and comparison methods were used during the research.

**Results and implications:** As a result the work shows that using different methods described in the research will contribute to the learning process a lot. Integrated teaching approach allows students to engage in purposeful, relevant learning.

**Conclusion:** Observing students revealed the advantages of modern teaching techniques. Moreover they never impede the learning process, a teacher can freely evaluate and deliver the knowledge to students. All these make the learning process more sophisticated and perfect. The final results will be: 1. Knowledge of a foreign language; 2. Individuals with effective communication skills (sailors); 3. Interesting and cheerful lessons (which we think will increase students' motivation) The existing study is not still enough and many researches and observations have to be done. However, we hope that the work will contribute a little to the learning process.

**Keywords:** teaching methods, communication, foreign language, sailor

### შესავალი

ენა ძალზედ რთული ფენომენია, ის უამრავ საკვლევ მასალას გვთავაზობს. უცხო ენის სწავლება კი ვფიქრობთ უამრავ ასპექტს უნდა მოიცავდეს, ის არ უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ერთ მიზანს: ენის ათვისებას, განსაკუთრებით მეზღვაურებისათვის.

სწორედ მომავალი მეზღვაურების ენობრივი განვითარებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლების მაქსიმუმის მიღება.

უკვე ყველასათვის კარგად ცნობილია თუ როგორ პირობებში უწყვეტ მეზღვაურებს დღესდღეობით მუშაობა. რომ თანამედროვე სამყაროში გემები გადატვირთულია

სხვადასხვა ეროვნების მეზღვაურებით და მათ უხდებათ კომუნიკაციის დამყარება ერთმანეთთან, რათა თავი გაართვან სხვადასხვა სირთულეებს რომელიც თავს იჩენს გემზე ყოფნისას.

წარმატებული კომუნიკაციის დამყარების უნარის განვითარებაში კი ძალიან დიდი როლი შეიძლება ითამაშოს სხვადასხვა თანამედროვე აქტივობებმა, რომელთა გამოყენება ხელსაყრელია ინგლისური ენის კურსის გავლისას.

### **ძირითადი ნაწილი**

კომუნიკაცია, ერთი შეხედვით მარტივ სიტყვად გვეჩვენება, რომელიც ყველასათვის ადვილად გასაგებია, შესაბამისად გვგონია თითქოსდა იოლ მოვლენასთან გვექონდეს საქმე, თუმცა სწორედ აქ ვცდებით. სწორედ კომუნიკაციაა ის საშუალება, რომლის საფუძველზეც შეგვიძლია უამრავ კომფლიქტს გავართვათ თავი და სასურველ შედეგამდე მივიდეთ.

შევადაროთ ორი სურათი:

პირველი - მეზღვაური, თავისთავზე ორიენტირებული, დამოუკიდებელი, რაც შეიძლება ერთი შეხედვით მოწონებას იმსახურებდეს, მაგრამ რა ხდება მაშინ როცა მოცემულ მეზღვაურს უწევს სხვა მეზღვაურებთან ურთიერთობა?! ის ამჯობინებს თავად, სხვებთან კონტაქტში შეუსვლელად იმოქმედოს, რამაც შეიძლება არასწორ შედეგამდე მიგვიყვანოს.

მეორე - მეზღვაური, კომუნიკაციის უნარით დაჯილდოვებული, რომელსაც შეუძლია ურთიერთობაში ადვილად შევიდეს ხალხთან და სხვისი აზრის გათვალისწინებით მივიდეს სწორ გადაწყვეტილებამდე.

სწორედ აქ თამაშობს დიდ როლს ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები. უცხო ენის სწავლებისას ჩვენ შეგვიძლია მომავალ მეზღვაურს კომუნიკაციის უნარი ჩამოვუყალიბოთ ან გავუღრმაოთ. ამის შესაძლებლობას გვამძლევს ისეთი აქტივობებით სწავლება როგორცაა: ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, როლური თამაშები და სხვა. რომელსაც შეიძლება თან დავურთოთ მასწავლებლის კრეატიული აზროვნება მოცემული აქტივობების გამრავალფეროვნებისა და ეფექტურად გამოყენების მიზნით.

სწავლების ამ მიდგომების გამოყენებით სწავლება:

- ხდება სახალისო;
- ამაღლებს მოტივაციას;

- აძლევს სტუდენტებს საშუალებას გამოხატონ საკუთარი თავი (მათი შესაძლებლობები, გრძნობები...);
- აუდიტორიაში იქმნება უფრო რეალური მეზღვაურთა სამყაროს სურათი;
- გვაძლევს ენის ათვისების უფრო სწრაფ და მრავალმხრივ შესაძლებლობას;
- სტუდენტებს ეძლევათ საშუალება უფრო განამტკიცონ უკვე არსებული ინგლისური ენის ცოდნა და დახვეწონ ის;

მასწავლებელს შეუძლია ითამაშოს:

- ფასილიტატორის როლი - მიაწოდოს სტუდენტს სპეციფიკური ტერმინები და სიტყვები საჭიროებიდან გამომდინარე;
- მაცურებლის(შემფასებლის) როლი - შეაფასოს სტუდენტთა „პერფომანსი“, არა მხოლოდ ენობრივი თვალთახედვით, არამედ კომუნიკაციურობისა და შესრულების გათვალისწინებითაც (მოცემული აქტივობა შეილება ასევე განხორციელდეს ვიდეო ჩანაწერების გამოყენებით).
- მონაწილის როლი - ზოგჯერ საჭიროა თვით მასწავლებელიც ჩაერთოს მუშაობაში.

ამ ყველაფერს უკეთეს შედეგამდე იმითაც მივყავართ, რომ ერთმანეთზე დკვირებისას სტუდენტები თვითონ ამჩნევენ თავიანთ ენობრივ შეცდომებს და ასწორებენ მათ, აშკარაა ასეთი მიდგომის ეფექტურობა.

ვფიქრობთ, ასევე ეფექტურია პრეზენტაციების გამოყენება სასწავლო პროცესში რაც ამაღლებს სტუდენტის აზრის ჩამოყალიბების და გამოხატვის უნარს.

ადამიანი სოციალური არსებაა, რომელსაც ყოველდღიურად უამრავი კონტაქტის დამყარება უხდება, ეს პროცესი კიდევ უფრო რთულდება გემზე, მით უფრო რომ აქ მრავალი ეროვნების წარმომადგენელია. ამიტომაც კომუნიკაციის ეფექტურ წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ის გვიმარტივებს ცხოვრებას, მივყავართ სასურველ შედეგებამდე ად ა.შ.

კომუნიკაციის დამყარება შესაძლებელია ვერბალურადაც და არავერბალურადაც. თანამედროვე ენის სწავლების მეთოდები დაგვეხმარება როგორც ვერბალური, ისე არავერბალური კომუნიკაციის უნარის გამყარებაში. მაგალითად როლური თამაშები თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ არავერბალურ პრაქტიკაშიც, რაც თვალნათლივ დაეხმარება მომავალ მეზღვაურს წარმატებული კარიერის შექმნაში.

## დასკვნა

სტუდენტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა მსგავსი მიდგომების მართებულობა. მით უმეტეს, რომ აღნიშნული მეოდების გამოყენება არანაირად არ აფერხებს სასწავლო პროცესს, პედაგოგს თავისუფლად შეუძლია შეფასება და ცოდნის მიწოდება მათი გამოყენებისას. პირიქით ეს ყველაფერი სასწავლო პროცესს უფრო დახვეწილსა და სრულყოფილს ხდის.

საბოლოო შედეგად მივიღებთ:

1. უცხო ენის ცოდნას;
2. თავისუფალი კომუნიკაციის უნარის მქონე ინდივიდს (მეზღვაურს);
3. საინტერესო და ხალისიან გაკვეთილებს (რაც ვფიქრობთ სწავლის დონესაც აამაღლებს);

არსებული შესწავლა ვფიქრობთ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და განსახორციელებელია უამრავი კვლევა და დაკვირვება, რათა სასწავლო პროცესი უფრო მრავლისმომცველი და დახვეწილი გახდეს ზემოთხსენებული მიდგომების გამოყენებით. თუმცა ვიმედოვნებთ, რომ ნაშრომი ცოტათი მაინც დაეხმარება სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cardeno A. Ralph et al, “Ensuring safety of navigation at sea through maritime communications: a linguistic discourse analysis”, IMEC 24 proceedings, 2012
2. Harmer J. “How to Teach English”, 2007, Pearson Longman.
3. David Crystal, “The Cambridge Encyclopedia of English Language”, Cambridge University Press, 1989.
4. Victoria Fromkin, “An Introduction to Language” 9 th edition. Printed in Canada, 2002.
5. Adrian Akmajian, Richard A. Demers, “Language and Communicatin”, Cambridge, MA:MIT Press, fourth edition, 1997.